საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. ლ., ნ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.04.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 021/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ლ.-ის მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ლ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 20 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ს. ლ.-მ და ნ. ხ.-მ. საჩივრის ავტორებმა მოითხოვა ადვოკატ ნ. ლ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ს. ლ.ს განმარტებით, 2015 წლიდან მუშაობდა შპს „----ში“ ოპერატორის პოზიციაზე, კომპანია გასცემდა ბიზნეს სესხებს ლილოს ბაზრობაზე დასაქმებული მოვაჭრეებისთვის. ამავე კომპანიაში იურისტის პოზიციაზე მუშაობა დაიწყო ნ. ლ.-მა. 2018 წელს ს. ლ.-მ მუშაობა დაიწყო შპს „ფ. კ.-ში“, რომელიც ასევე მდებარეობდა ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე და მოვაჭრეებზე გასცემდა ბიზნეს სესხებს. კომპანიას ახალი დაწყებული ჰქონდა ფუნქციონირება და საჭირო იყო სესხის ხელშეკრულებების შედგენა. ვინაიდან არც ს. ლ.-ს და არც კომპანიის დირექტორს ნ. ხ.-ს არ გააჩნდათ იურიდიული განათლება, ნ. ლ.-ს შესთავაზეს პარალელურად ემუშავათ მათ

კომპანიაში და შეედგინა ყველა ის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც საჭირო იყო კომპანიის ფუნქციონირებისთვის. ნ. ლ. დათანხმდა ამ სამსახურს და დაიწყო კომპანიაში მუშაობა, თუმცა მალავე კომპანიის დამფუძნებელი გაემგზავრა საზღვარგარეთ და კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება. 2019 წლის მარტში, ს. ლ.-მ და ნ. ხ.-მ დაარსეს კომპანია „ნ. ბ.", რომელიც განაგრძობდა იგივე საქმიანობას, რასაც ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიები. ნ. ლ.-მა ამ კომპანიაშიც განაგრძო იგივე პოზიციაზე მუშაობა. კომპანიის საქმიანობის განხორციელების მიზნით ნ. ხ.-მ ბანკიდან აიღო სესხი 45 000 ლარის ოდენობით, ამავე ოდენობის სესხი აიღო ს. ლ.-მ.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, შპს „ფ. კ.-ში" მუშაობის დროს, საჩივრის ავტორების ახლობელს დასჭირდა თანხა, რისთვისაც მათ მიმართეს ადვოკატ ნ. ლ.-ს. ადვოკატი ასევე საქმიანობდა თანხების გასესხების მიმართულებით და საჩივრის ავტორებს სესხის სახით მისცა 20 000 ლარი თვიური 4% იანი სარგებლის მიღების მიზნით. ნ. ლ. დაჰპირდა მათ, რომ გააფორმებდა სესხის ხელშეკრულებას და დაამოწმებდა მას ნოტარიულად, თუმცა მოგვიანებით ნოტარიუსთან მისვლის დროს ადვოკატმა მათ უთხრა, რომ დაწერდა შეთანხმების ტექსტს მიბარებული თანხის შესახებ, რადგან არ აწყობდა პროცენტის გამოჩენა. საჩივრის ავტორები დათანხმდნენ, რადგან ვერ ერკვეოდნენ იურიდიულ ტერმინებში, თუმცა ენდობოდნენ ადვოკატს. საჩივრის ავტორების ახლობელმა 3-4 თვის განმავლობაში მათ გადასცა სესხის სახით მიღებული თანხა და ასევე მასზე დარიცხული პროცენტი. საჩივრის ავტორებმა ადვოკატს შესთავაზეს, რომ აღნიშნულ თანხას თავად დაიტოვებდნენ და დამატებით გადაუხდიდნენ თვიურ 2%-ს, რაზედაც ნ. ლ. დათანხმდა და 2018 წლის 20 აპრილს საჩივრის ავტორებმა ეს თანხა სესხის სახით აიღეს. ს. ლ. და ნ. ხ. ნ. ლ.-ს ყოველთვიურად უხდიდნენ 400 ლარს პროცენტის სახით. 2018 წლის 10 და 20 დეკემბერს ნ. ლ.-მა კვლავ მისცა საჩივრის ავტორებს თანხები სესხის სახით, რამაც ჯამში 17000 ლარი შეადგინა, ყოველთვიურად გადასახდელი პროცენტის თანხა კი გაიზარდა 340 ლარით. ნ. ლ.-მა ასევე სესხის სახით მისცა თანხა საჩივრის ავტორებს 2019 წლის 20 და 27 ივნისს 11000 ლარის ოდენობით. საერთო ჯამში, ყოველთვიური გადასახდელი პროცენტის თანხა განისაზღვრა 960 ლარით. საჩივრის ავტორებს ადვოკატ ნ. ლ.-ისთვის პროცენტის სახით მიცემული აქვთ 21 440 ლარი და 2020 წლის 2 ნოემბერს დაბრუნებული აქვთ სესხის ძირი თანხიდან 20 000 ლარი.

1.4 საჩივრის ავტორთა განმატებით, ქვეყანაში შექმნილი რთული სიტუაციიდან გამომდინარე, რაც გამოწვეული იყო კორონა ვირუსის პანდემიით, ისინი ვერ ახერხებდნენ ყოველთვიური პროცენტის გადახდა, რადგან დაიკეტა მათი სამუშაო ოფისი. ადვოკატი ნ. ლ. აღნიშნულის გამო გაბრაზდა და 3 თვის განმავლობაში ყოველდღიურად ურეკავდა საჩივრის ავტორებს და სთხოვდა 48 000 ლარის დაბრუნებას. საჩივრის ავტორებმა მუშაობა განაახლეს 2020 წლის 25 მაისს და დაჰპირდნენ ადვოკატს, რომ ივნისიდან გააგრძელებდნენ პროცენტის გადახდას, რაც ასეც მოხდა. 2020 წლის ოქტომბრის თვეში ადვოკატი ნ. ლ. მივიდა ს. ლ.-სა და ნ. ხ.-ს ოფისში 2 პიროვნებასთან ერთად, რომელთაგან ერთი იყო ლილოს ბაზრობის დაცვის თანამშრომელი. მეორე პიროვნება საჩივრის ავტორებს გაეცნო, როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის („კუდი") თანამშრომელი და მოსთხოვა 2-5 დღის განმავლობაში თანხის დაბრუნება ნ. ლ.-ისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა მათი საქმის გაფუჭებით. რამდენიმე დღის შემდეგ, ნ. ლ. კვლავ მივიდა „კუდის" თანამშრომელთან და კიდევ სხვა პიროვნებასთან ერთად და კვლავ მოთხოვა მათ თანხის დაბრუნება. ნ. ლ.-მა საჩივრის ავტორებს აუხსნა, რომ მეორე პიროვნების

თანხა ჰქონდა მათ გადაცემული და ევალებოდათ მისი დაბრუნება. საჩივრის ავტორებმა ადვოკატს უთხრეს, რომ თანხა პროცენტთან ერთად სანოტარო წესით გადასცემდნენ, რამაც ნ. ლ.-ის გაღიზიანება გამოიწვია, რადგან მას არ სურდა პროცენტის თაობაზე ინფორმაციის გაჟღერება. ამავე დღეს ნ. ლ. მარტო მივიდა საჩივრის ავტორების ოფისში და მათ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მიუხედავად დაძაბული ურთიერთობისა, საჩივრის ავტორებმა განაგრძეს ნ. ლ.-ისთვის თანხის გადახდა ნოემბრის თვემდე. ნოემბრის თვის შემდეგ კი მათი ოფისი დაიკეტა და ისინი ვეღარ ახერხებდნენ ადვოკატისთვის თანხის დაბრუნებას.

1.5 2021 წლის მარტში, ლილოს პოლიციის განყოფილებიდან დაუკავშირდნენ ნ. ხ.-ს და დაიბარეს დაკითხვაზე ადვოკატ ნ. ლ.-ის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე. პოლიციის განყოფილებაში საჩივრის ავტორებმა აღიარეს ადვოკატისთვის გადახდილი თანხების და გადასახდელი თანხის შესახებ. გამოკითხვის შემდეგ ნ. ლ.-ს ეცნობა, რომ საქმე ეხებოდა სამოქალაქო დავის საგანს, რის გამოც არ დაიწყო გამოძიება. ადვოკატმა ნ. ლ.-მა განცხადება დაწერა ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, სადაც მიუთითა ცრუ ფაქტები. კერძოდ, განცხადებაში გამორიცხა საჩივრის ავტორებისთვის თანხის სესხის სახით გადაცემა და აღნიშნა, რომ ეს თანხა იყო კომპანიაში სარგებლის მიღების მიზნით ჩადებული ფული, ხოლო პროცენტი კომპენსაცია. საჩივრის ავტორების განმარტებით, მათ წარადგინეს მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურეს, რომ ნ. ლ.-ისგან ფულადი თანხები მიიღეს სესხის სახით.

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატ ნ. ლ.-თან ურთიერთობის გაფუჭების მიუხედავად, ის ვალდებული იყო დაეცვა კომპანიის ინტერესები სასამართლოში და აღსრულების ეროვნულ ბიუროში. ადვოკატს საქმე უნდა ეწარმოებინა კომპანიის მოვალეებისგან თანხის ამოღების მიზნით, თუმცა ის მოვალეებს არ უხსნიდა თანხის გადახდის ვალდებულების შესახებ და ეუბნებოდა, რომ როგორც მათ სურდათ ისე შეეძლოთ მოქცეულიყვნენ. ადვოკატს არ სურდა ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. საბოლოოდ ის სხდომაზე მაინც მივიდა, თუმცა არაჯეროვნად დაიცვა კომპანიის ინტერესები. კერძოდ, მოვალეს მიმართა, რომ როგორც ნ. ხ. იტყოდა ისე უნდა მოქცეულიყო.

1.7 საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ ადვოკატ ნ. ლ.-ის მოქმედებების გამო ვერ გრძნობენ თავს დაცულად, რადგან ის მოქმედებს არაკანონიერი საშუალებებით და მოითხოვენ ეთიკის კომისიის მიერ მისი მოქმედებების შესწავლას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 27 მაისს ადვოკატმა ნ. ლ.-მა წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ს. ლ.-ს და ნ. ხ.-ს მიერ წარმოდგენილ საჩივარს არ ეთანხმება, რადგან მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ს. ლ. არის შპს „ნ. ბ.-ის“ დირექტორი, ნ. ხ. კი შპს „ფ. კ.-ის“ დირექტორი. ისინი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ნ. ლ.-ს უხდიდნენ ხელფასს, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენდა კომპანიების ინტერესებს სასამართლოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში. ადვოკატის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხდებოდა წინასწარ და მოიცავდა დავის საგნის ღირებულების 7%-ს. მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხის

წინასწარ აღების მიზანი იყო სასამართლოში საპროცესო ხარჯებისთვის გაწეული თანხის დადასტურება, რადგან შემდგომ მარწმუნებელს დაებრუნებინა წარმომადგენლობაზე გაწეული ხარჯის 4%. საჩივრის ავტორებს აღნიშნულზე პრეტენზია არასდროს გამოუთქვამთ.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სასამართლო სხდომები წარდგენილი 4 სარჩელიდან ჩატარდა მხოლოდ 2 საქმეზე. სხდომაზე მხარეები მორიგდნენ, ხოლო დანარჩენ ორ საქმეზე სასამართლომ უნდა მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო სხდომა, რომელზეც საჩივრის ავტორები საუბრობენ და მიუთითებენ, რომ ნ. ლ.-ს არ სურდა სხდომაზე გასვლა არ შეესაბამება სიმართლეს. კერძოდ, სხდომა გაიმართა 2021 წლის 24 მარტს და ნ. ხ.-მ ნ. ლ.-ს სხდომის თაობაზე აცნობა შეტყობინებით 19 მარტს. ადვოკატმა ჰკითხა მას, რატომ სურდა ის ყოფილიყო წარმომადგენელი, მაშინ როდესაც არ ენდობოდა. ნ. ხ.-მ უპასუხა, რომ სურდა გამოსულიყო პროცესზე, მინდობილობას კი სხდომაზე მიუტანდა. 2021 წლის 22 მარტს ადვოკატმა მიწერა ნ. ხ.-ს, რომ მივიდოდა სასამართლო სხდომაზე და მიიღებდა მონაწილეობას, რაზედაც ნ. ხ.-მ აღარ უპასუხა. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ნ. ლ. წარმოადგენდა შპს „ფ. კ.-ის“ ინტერესებს და საქმე დასრულდა მორიგებით.

2.4 ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორების ნეგატიური დამოკიდებულება ადვოკატის მიმართ წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ნ. ლ.-მა მოსთხოვა მათზე მიბარებული თანხების დაბრუნება და აღნიშნულის თაობაზე ასევე მიმართა საგამოძიებო ორგანოებს. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორები ვერ მიუთითებენ მისი მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევაზე, რის გამოც არ არსებობს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ლ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – საერთო.

3.2 ს. ლ.-მ და ნ. ხ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2021 წლის 2021 წლის 20 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2020 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ ნ. ლ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორთა პრეტენზიით ადვოკატს არ სურდა სასამართლო სხდომაზე შპს „ფ. კ.-ის“ ინტერესების დაცვა და კომპანიის მოვალეებს არ უხსნიდა კომპანიისთვის თანხის გადახდის ვალდებულებას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ლ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა)
>
> ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).
>
> ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ... მითითებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.2).

5.3 კომისიის შეფასებით, პირველ რიგში დასადგენია არსებობდა თუ არა საჩივრის ავტორებსა და მოპასუხე ადვოკატს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ეთიკის კომისიის პრაქტიკით, იმ შემთხვევაში თუ პირი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა კლიენტთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდეს, მასზე სრულად ვრცელდება პროფესიული ვალდებულებები (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 08.01.2013 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №100/11; ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის 08.01.2015 წლის რეკომენდაცია №012/14). შესაბამისად, ადვოკატ ნ. ლ.-ზე ვრცელდებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტები შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე განხორციელებული იურიდიული მომსახურებისას.

5.4 საადვოკატო მომსახურების განხორციელების დროს, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კლიენტთან შეთანხმებით, მისი კანონიერი მითითებების შესაბამისად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით.

5.5 „ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების და/ან დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულებები სათანადოდ დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 20.01.2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №090/13, 6.8).

5.6 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ვერ დასტურდება ადვოკატ ნ. ლ.-ის მიერ არაკვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელება. საჩივრის ავტორების პრეტენზია ეხება სასამართლო პროცესზე გამოცხადების თაობაზე ადვოკატ ნ. ლ.-ის უარს, რომელიც თავად მხარეთა ახსნა-განმარტებებით ქარწყლდება. ადვოკატმა სასამართლოში წარმოადგინა „ფ. კ.-ის“ ინტერესები და

მოპასუხე მხარესთან დავა მორიგებით დასრულდა. რაც შეეხება პრეტენზიას, რომლის მიხედვით ადვოკატი არ ასრულებდა კლიენტის დავალებას და კომპანიის მოვალეებთან საუბრისას არ უხსნიდა მათ კომპანიის სასარგებლოდ თანხის დაბრუნების ვალდებულებას, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა აღნიშნული პრეტენზია. ასევე, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ვერ დასტურდება ადვოკატის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა და კლიენტის საწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელება.

5.7 საჩივრის ავტორთა მეორე პრეტენზია ეხება ადვოკატ ნ. ლ.-სა და მათ შორის არსებულ შესაძლო სასესხო ურთიერთობას და ამ ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნული პრეტენზია შეაფასა დამოუკიდებლობის პრინციპთან მიმართებით.

ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.1).

5.8 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკით (საქართველოს ადოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 25.02.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №086/17; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 14.05.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №030/18; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.06.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №034/18), ადვოკატის დამოუკიდებლობის დარღვევად ფასდება კლიენტთან, წარმომადგენლობის პერიოდში, სხვა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, მათ შორის, სასესხო ურთიერთობაში შესვლა, რადგან ამას შეუძლია გავლენა მოახდინოს ადვოკატის საქმიანობაზე და ხელი შეუშალოს ადვოკატის მიერ დამოუკიდებელ პროფესიულ განსჯას.

5.9 ადვოკატი უარყოფს სასესხო ურთიერთობის არსებობას კლიენტთან. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორს აკისრია მტკიცების ტვირთი აღნიშნული ფაქტის - სასესხო ურთიერთობის არსებობის შესახებ. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია ეთიკის კომისიისათვის მტკიცებულება (ხელშეკრულება, ხელწერილი ან ნებისმიერი სხვა წერილობითი დოკუმენტი), რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა კომისიას, რომ მხარეთა შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა. შესაბამისად, ვერ დგინდება ადვოკატის მხრიდან დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა.

5.10 საჩივრის ავტორთა მორიგი პრეტენზია უკავშირდება ადვოკატის მუქარას. აღნიშნული პრეტენზია საპროცესო კოლეგიამ შეაფასა კეთილსინდისიერების, ნდობისა და კლიენტის უფლებების პატივისცემის ფარგლებში.

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი

კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კლიენტის უფლებებს (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ბ).

5.11 საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია კანონიერება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.ა) და ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.თ). საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატმა ისე უნდა განახორციელოს საქმიანობა, რომ განამტკიცოს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობა არა მხოლოდ კლიენტის თვალში, არამედ საზოგადოდ.

5.12 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ყოველგვარი ქმედება, რომელიც არ შეესატყვისება ადვოკატის როლს, მათ შორის კლიენტის მუქარა, ვნებს ადვოკატის იმიჯს და პროფესიის რეპუტაციას.

5.13 საჩივრის ავტორთა განმარტებით, მოპასუხე ადვოკატი მათ ემუქრებოდა „საქმის გაფუჭებით“, რასაც უარყოფს მოპასუხე ადვოკატი და განმარტავს, რომ მან კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურება გაუწია და კლიენტებს საქმე „არ გაფუჭებიათ“. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, საჩივრის ავტორს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა დაესაბუთებინა აღნიშნული პრეტენზია. გამომდინარე იქიდან, რომ მომჩივანთა მხრიდან არ იქნა წარდგენილი მუქარის დამადასტურებელი მტკიცებულება, აღნიშნული მოთხოვნა ვერ აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რის საფუძველზეც არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ამ ნაწილში.

5.14 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ გამოიკვეთა ადვოკატ ნ. ლ.-ის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა, ბ) მუხლისა და ეთიკის კოდექსის 2.1, 3, 8.2, 8.5 მუხლების დარღვევა, რის გამოც წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

5.15 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №021/21 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ. ლ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/